

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი

შეფასების დეპარტამენტს

ინდმენარმე ლევან გაგნიძის

(რეგისტრირებული ხაზური, სოფელი ოსიაური ს/ნ 57001011001)

ტ. 593 59 95 02

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ ი/მ ლევან გაგნიძე (რეგისტრირებული ხაზური, სოფელი ოსიაური ს/ნ 57001011001) გეგმავს ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციაში მღებას. (GPS კოორდინატში X-387420; Y-4650265) ავტოგასამართი სადგური უახლოესი დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 50 მეტრით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად“ ი/მ ლევან გაგნიძის მიერ 2019 წელს აშენებულ ავტოგასამართ სადგურთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ, განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ, თქვენს გადანაცვებულს.

ავტოგასამართი სადგური მდებარეობს ხაზურის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 69.03.55.240 და წარმოადგენს მის საკუთრებას. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს 4 832 კვ.მ. მოსწორებულ, ხრეშით დაფარულ, საავტომობილო გზის პირზე მდებარე მიწის ნაკვეთს.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მიწის ქვეშ განთავსებულია ერთი ცალი ავზი დიზელის საწვავისთვის, სიგრძით 8,88 მ; დიამეტრით 2,60 მ; რომლის მოცულობაა 49,72 მ³. სასუნთქი სარქველის სიმაღლეა 2 მ; დიამტრი 0,05 მ; ავზი ავზი დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებით.

აღნიშნული ავზი მოთავსებულია ქვის ღორღის სარკოფაგში. საწვავმაიგებელი სვეტი დამონტაჟებულია ავზიდან 12 მეტრის მოშორებით და დაკავშირებულია თანამედროვე პლასტიკის მილით.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია დიზელის საწვავის რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა იქნება 500 000 ლიტრი. ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგური იმუშავებს 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 365 სამუშაო დღით წელიწადში.

საოპერატორო შენობა არის მსუბუქი კონსტრუქციის, ტუალეტით და ხელსაბანით.



საწვავის მიღება გეგმით უნდა მოხდეს ავტოცისტერნის საშუალებით, რომელიც უნდა დაერთდეს ტერიტორიაზე განთავსებულ ჩამსხმელ ღვარზე და მიენოდება მიწის ქვეშ არსებულ რეზერვუარს, საიდანაც საწვავი მიენოდება საწვავის გასაცემ სვეტს, საიდანაც ხდება ავტომანქანების გამართვა საწვავით.

ტერიტორიაზე დამონტაჟებულია მესამრიდი, რომელიც ფარავს საოპერატორო შენობას და სვეტს. აღსანიშნავია, რომ საწვავის მიღებისას უნდა მოხდეს ავტოცისტერნის დაერთება დამინების ტანკიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს საწვავის მიღების პროცესი. დამინებული უნდა იყოს საოპერატორო შენობაში განთავსებული ცენტრალური მართვის კარადა და საწვავის ავზი.

ტერიტორიაზე არის წყალმომარაგების და კანალიზაციის შიდა სისტემა, წყლის მომარაგება ხდება ტერიტორიაზე არსებული ჭიდან.

ავტოგასამართი სადგური აღჭურვილია სახანძრო დაფით, ცეცხლმაქრებით, სახანძრო ინვენტარით და არსებული კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებებით. ნავის ურნებით, სხვადასხვა ნარჩენებისთვის.

საწარმოს საქმიანობის სფეროში უკიდურესად გამომდინარე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და შემდგომ მათ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეული მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნიდან ნავთობპროდუქტის მიღებისას.

ავტოგასამართი სვეტი განთავსებულია გადახურული ფარდულის ტიპის, ამიტომ სანიღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონის გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარი.

ავტოგასამართი სადგურს აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ესაზღვრება შიდა საუნო გზა, დასავლეთის მხრიდან ილია ბარბაქაძის საკუთრება, რომელზეც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, ყველაზე ახლოს მდგომი ნაგებობა გამოიყენება საწყობად. სამხრეთის მხარეს მდებარეობს ცენტრალური ავტომარაგისტრალი.

მიწის ნაკვეთზე სადაც განთავსებულია ავტოგასამართი სადგური, არ არის მრავალწლიანი მცენარეები, არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები. ტერიტორიის შემოგარენში და არც მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ადგილები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი. ასევე არ არის მოსალოდნელი ზემოქმედება მიწის ნაყოფიერ ფენაზე, რადგან ტერიტორია წარმოადგენს დამუშავებული ქანების დატკეპნილ ზედაპირს.

საქმიანობის სპეციზიკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ავტოგასამართ სადგურში დასაქმდებიან ადგილობრივი მაცხოვრებლები, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. მისი მშენებლობისა და ფუნქციონირებისას რაიმე სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

ავტოგასამართი სადგურის მშაობისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნაჩენების წარმოქმნა (წელიწადში 0,5 მ³-ის ოდენობით) ასევე რაიმე სახის სახითათო ნაჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობის სრული მოთხოვნების გათვალისწინებით კერძოდ, მათი დროებითი განთავსება- ტრანსპორტირება და გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე ორგანიზაციებზე.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის უშუალო სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ არის.

ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის გაცემისას მისი დაღვრა. ავტოგასამართი სადგურის გასაცემი სვეტის გარე პერიმეტრი მოწყობილია არხით, რომელიც უერთდება მიწისქვეშა სპეციალურ ავზს. ამით აცილებული იქნება დაღვრილი საწვავის გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. დაღვრილი საწვავის ავზში დალექვის შემდეგ, ის ამოღებული იქნება, ხოლო დარჩენილი ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციისათვის გადაეცემა ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ნებართვა.

პატივისცემით,

ი/მ ლევან გაგნიძე

